საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ევროპეიზაცია: სოფლის განვითარების ევროპული მოდელის - LEADER მიდგომის დანერგვა და ენდოგენური განვითარების პროცესის შედეგები.

თამარ ჯანელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ევროპისმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მაგისტრი: თამარ ჯანელიძე

თარიღი:19.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ევროპეიზაციისა და ენდოგენური განვითარების თეორიების ჩარჩოში იკვლევს საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ევროპეიზაციას. კვლევის მიზანია აჩვენოს სოფლის განვითარების მრავალსექტორული პოლიტიკის მნიშვნელობა და გავლენს სფეროები, მის განხორციელებაში ჩართული შიდა აქტორების სტრატეგიული ინტერესები, მომხდარი კოგნიტური ცვლილებები, მიღწეული პოლიტიკური ლეგიტიმაციის მაგალითები და ქვეყანაში ენდოგენური განვითარების პოტენციალი. იმ პირობებში, როცა არსებობს მყარი ნორმატიული ბაზა პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის, 2024 წელს კი, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის-საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ევროინტეგრაციის პროცესი დეფაქტოდ შეჩერდა, მნიშვნელოვანია გამოირკვეს, როგორ ახერხებენ ადგილობრივი აქტორები დანერგილი ევროპული მოდელის მდგრადობის შენარჩუნებას.

კვლევის თვისებრივმა მეთოდმა და ემპირიული მონაცემების მრავალმხრივმა ტრიანგულაციამ ცხადყო, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით, სახელმწიფოს სტრუქტურებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობით, საქართველოში შეიქმნა ევროპული მოდელის მსგავსი „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ინტეგრირებული პოლიტიკა“, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“. პროცესში ჩართულია სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელი“, საქართველოს 25 მუნიციპალიტეტში დაარსებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG), და საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაცია - GALAG.

ჯოზეფ ნეის „რბილი ძალის“, სოფი ჟაკოსა და კორნელია ვოლის „ევროპის გამოყენების“ და კრისტოფერ რეის „ენდოგენური განვითარების“ თეორიებზე დაყრდნობით, კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პოლიტიკის ევროპეიზაცია ჰიბრიდულ ხასიათს ატარებს. სახელმწიფომ ევროპული რესურსები გამოიყენა ეროვნული პოლიტიკის ევროპულ სტანდარტთან ფორმალური თავსებადობის მისაღწევად, მიმდინარე კრიზისის პირობებში LAG-ების ავტორიზაციის პროცესი კი სტაგნაციაში მოაქცია. ამის საპირწონედ, ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ პროცესის სიღრმისეულ განვითარებას. წყალტუბოს LAG-ის ემპირიულმა ქეისმა დაადასტურა „ქვემოდან-ზემოთ“ მმართველობისა და ენდოგენური განვითარების პოტენციალის ლოკალურ დონეზე გააქტიურება.

კვლევის ძირითადი მიგნების თანახმად, საქართველოს ევროინტეგრაციის კრიზისი და დონორული დაფინანსებების მილევადობა ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის LEADER მიდგომის ქართული გამოცდილების წარმატებულ განგრძობითობას.

საძიებო სიტყვები: საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ევროპეიზაცია, სოფლის განვითარება საქართველოში, წყალტუბოს LAG, GALAG.

Abstract

Within the theoretical frameworks of “Europe Usage” and “Endogenous Development” this master’s thesis examines the Europeanization of Georgia’s Agricultural policy. The research aims to demonstrate the significance and influence spheres of multisectoral rural policy, the strategic interests of local actors, the resulting cognitive changes and examples of achieved political legitimacy and the potential of endogenous development in Georgia. Although Georgia established solid normative framework for the successful implementation of the process, the Georgia’s government de-facto suspended European integration process in 2024. Therefore, the study examines how local actors maintain the sustainability of the Introduced European rural development model, LEADER approach, in Georgia.

Using qualitative methods and data multi-triangulation, the study shows that EU used holistic support to Georgia: state institutions and civil societies successfully created an “Integrated Agricultural and Rural Development Policy” of Georgia. This framework is managed by the Ministry of Environmental protection and Agriculture, involving: The Rural Development Agency and The Rural Development Public Network, Local action Groups (LAG) across 25 municipalities and the Georgian Association of the Local Action Groups (GALAG)

Based on the Joseph Nye’s concept of “Soft power”, Sophie Jacquot and Cornelia Woll’s theory of “Usage of Europe” and Christopher Ray’s model of “Endogenous Development” the study demonstrates that the Europeanization of the policy bears to hybrid character. The state utilized European resources for formal compliance, leaving the LAG National Authorization process stagnant during the current crisis. In contrast, Local civil societies organizations drive deep-rooted development. The case of the LAG Tskaltubo demonstrates the real activation of “Bottom-Up” governance and endogenous growth potential.

According the main findings of the study, within the context of Georgia’s European integrations crisis, the depletion of donor funds poses an existential threat to the successful continuity of the Georgian experience of rural development according the LEADER approach.

Keywords: Europeanization of Georgia’s agricultural policy, Rural development in Georgia, LAG Tskaltubo, GALAG